სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

---------- ნოე ქაშიბაძე

28 დეკემბერი 2016 წელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდი

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N86/36

2015 წლის 1 იანვარი - 2016 წლის 1 იანვარი

შინაარსი

შემაჯამებელი მიმოხილვა 3

აუდიტის მიზანი 7

აუდიტის მასშტაბი 7

აუდიტის საგანი 8

კრიტერიუმები 8

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 10

აუდიტორის პასუხისმგებლობა 11

აუდიტის ანგარიშის ფორმა 11

ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვა 11

- შრომის ანაზღაურება 13
- შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება 16
- წარმომადგენლობითი ხარჯები 18
- საბიუჯეტო დეფიციტის მართვა 19
- სარეზერვო ფონდიდან თანხების გაცემა 20
- წინა წლებში ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა 22

აუდიტორთა ხელმოწერები: 24

შემაჯამებელი მიმოხილვა

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის და მთავრობის აპარატის უფროსის ბრძანებების საფუძველზე 2015 წელს პრემიების სახით გაცემულმა თანხამ შეადგინა 120,173.50 ლარი. აპარატის უფროსის მიერ პრემიებთან დაკავშირებით ბრძანებების გამოცემის საფუძვლად წარმოდგენილი იყო მთავრობის თავმჯდომარის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი - ბრძანება, ასევე გამოცემული ბრძანებების საფუძვლებში, მითითებული იყო ნორმატიული აქტი - მთავრობის დადგენილება, რომლის მიხედვით პრემიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საჯარო დაწესებულების ზემდგომი თანამდებობის პირი (მთავრობის თავმჯდომარე). მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების გამოცემის შემდეგ, აპარატის უფროსს (ხელმძღვანელ თანამდებობის პირს) არ ჰქონდა უფლებამოსილება მთავრობის აპარატში თანამშრომელთა პრემირებასთან დაკავშირებით 2015 წლის განმავლობაში გამოეცა ჯამში 49 ბრძანება (თანხით - 111,568.50 ლარი).

დადგენილი წესის თანახმად, უქმე დღეებთან დაკავშირებით პრემია შეიძლება გაიცეს წელიწადში არაუმეტეს სამჯერ, თუმცა უქმე დღეებთან დაკავშირებით რამდენიმე თანამშრომელზე წლის განმავლობაში გაიცა მე-4 პრემიაც (ჯამში 2,054.00 ლარი). გარდა აღნიშნულისა, რიგ შემთხვევებში სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებზე პრემიები გაცემული იყო ინიცირების გარეშე.

მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებების საფუძველზე აპარატის თანამშრომლებზე წლის განმავლობაში გაცემული დანამატების ოდენობამ ჯამში შეადგინა 7,314.00 ლარი. ბრძანებების მიხედვით დანამატები გაცემულ იქნა შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი ეკონომიის ფარგლებში „ზეგანაკვეთური და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით“. ვინაიდან ორგანიზაციის მიერ არ იყო ნაწარმოები „სამუშაო დროის გამოყენების და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელი“, ხოლო „მომსახურეთა აღრიცხვის ჟურნალის“ მონაცემებში არ ფიქსირდებოდა სამსახურში გამოცხადების და წასვლის დრო (საათი), აუდიტის ჯგუფს ვერ წარედგინა მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა თანამშრომელთა მიერ ზეგანაკვეთურად მუშაობის ფაქტები (გვ. 13);

- 2015 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მთავრობის აპარატში დასაქმებული იყო შტატგარეშე მომუშავეები და მათზე ანაზღაურდა - 60,765.00 ლარი. შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით შტატგარეშე მოსამსახურეებზე ვრცელდებოდა მთავრობის

აპარატის შინაგანაწესით გათვალისწინებული ვალდებულებები, თუმცა 2015 წლის „მოსამსახურეთა აღრიცხვის ჟურნალში“ მათი აღრიცხვა არ ხდებოდა. შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით შესასრულებელი სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენის ფორმა განსაზღვრული არ ყოფილა, ხოლო მთავრობის აპარატში არსებულ კორესპოდენციაში, რაიმე ტიპის ოფიციალური დოკუმენტი (მოხსენებითი ბარათი, სამსახურებრივი ბარათი და სხვ.), რომლითაც დადასტურდებოდა შტატგარეშე მოსამსახურეების მიერ შესრულებული კონკრეტული სამუშაოს (მომსახურების) შედეგი და აქედან მიღებული სარგებელი არ ფიქსირდება, შესაბამისად ფაქტობრივად ვერ დასტურდება (ვერ დგინდება) შტატგარეშე მომუშავეთა დასაქირავებლად გახარჯული სახსრების ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული მართვა (გვ. 16);

- 2015 წლის განმავლობაში ქვეყნის გარეთ განხორციელებულ მივლინებებთან დაკავშირებით ანგარიშვალდებულ პირზე ანაზღაურებულ იქნა წარმომადგენლობითი ხარჯები ჯამში 4,457.52 ლარის ოდენობით. ზოგადად ხარჯების ანაზღაურება (აღიარება) ხდებოდა ანგარიშვალდებული პირის მიერ წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების შინაარსის შესწავლის შემდგომ ქვითარზე/ფაქტურაზე მითითებული თანხების მიხედვით. თუმცა, 18 შემთხვევაში მთავრობის აპარატის (საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშსწორების სამსახურის) მიერ 2,610.90 ლარის ანაზღაურება მოხდა მხოლოდ წარმოდგენილ ქვითრებზე მითითებული თანხების შესაბამისად, ანუ თანხების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმეტების შინაარსის გაცნობის გარეშე. შედეგად, როგორც ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით დადგინდა, ზემოაღნიშნული თანხებიდან (2,610.90 ლარიდან) 10 შემთხვევაში 1,594.22 ლარი გაიხარჯა ისეთი ტიპის ნივთების შესასყიდად, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობით არ ექვემდებარებოდა წარმომადგენლობით ხარჯად აღიარებას, ხოლო 8 შემთხვევაში არასრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტების გამო 1,016.68 ლარის ხარჯები ფაქტობრივად ვერ იდენტიფიცირდა (გვ. 18);
- საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების შესაბამისად, „შრომის ანაზღაურების“ მუხლით 2015 წელს გაწეული ხარჯი თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის არ უნდა ყოფილიყო 2014 წლის საკასო ხარჯზე მეტი. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც ადგილი არ ჰქონია ორგანიზაციის ფუნქციებისა და კომპეტენციის არსებით ზრდას, მთავრობის აპარატის მიერ 2015 წელს შრომის ანაზღაურება გაიზარდა 11 %-ით (გვ. 19);
- სარეზერვო ფონდიდან სხვადასხვა სახის მკურნალობისათვის, სოციალური პრობლემების და სხვა გარემოებების (სწავლების დაფინანსება, სოციალური მდგომარეობა, ღონისძიებების ჩასატარებლად და სხვ.) გამო, მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით

გამოყოფილი თანხები შეადგენდა - 214,573.00 ლარს. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდი იქმნება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად, 2015 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მაინც გაიცა 87,900.00 ლარი ისეთი გადასახდელებისათვის (სოციალურ-მატერიალური დახმარებები), რომლებიც გათვალისწინებული იყო 2015 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობების ასიგნებებში. სარეზერვო ფონდიდან რიგ შემთხვევებში ფიზიკურ პირებზე წლის განმავლობაში რამდენჯერმე (2-ჯერ, 3-ჯერ) სხვადასხვა მიზეზების გამო (სოციალური მდგომარეობა, მკურნალობისთვის და სხვ.) იყო გაცემული ჯამში 15,550.00 ლარი. თუმცა, ანალოგიური პრობლემებით და მსგავსი მდგომარეობით შემოსული განცხადებების დაკმაყოფილება მთელ რიგ შემთხვევებში არ მომხდარა და ისინი გადაიგზავნა რეაგირებისთვის აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობებსა და სხვა დაწესებულებებში. დადგენილი კანონმდებლობიდან გამომდინარე, სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფა ხდებოდა მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით და ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში რისკების მინიმუმამდე შემცირების მიზნით ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დამტკიცების შესახებ“ მთავრობის თავმჯდომარის ბრძანების შესაბამისად, რომელიც იყო ზოგადი ხასიათის და არეგულირებდა სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფასა და განკარგვასთან დაკავშირებით მთავრობის აპარატში რისკების მინიმუმამდე შემცირების მიზნით ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შიდა რეგულაციებს. აუდიტის ჯგუფისთვის წარმოდგენილი არ ყოფილა სხვა რაიმე დოკუმენტი, სადაც ასახული იქნებოდა კონკრეტული კრიტერიუმები იმის შესახებ, თუ რა პრინციპებით და რამდენად სამართლიანად ხდებოდა დასაფინანსებელი პირების შერჩევა(გვ. 20);

- მიმდინარე აუდიტით კვლავ დაფიქსირდა ისეთი ნაკლოვანებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტებისას. კერძოდ, ისევე როგორც წინა წლებში, სარეზერვო ფონდიდან თანხების გაცემა ხდებოდა ისეთი გადასახდელებისათვის (სოციალურ-მატერიალური დახმარებებისათვის), რომლებიც გათვალისწინებული იყო აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობების წლიურ ბიუჯეტებში. ამ მხრივ, სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად, მდგომარეობა არ გამოსწორებულა, პირიქით 2013-2015 წლების განმავლობაში თანხების ხარჯვა გამოირჩეოდა ზრდის ტენდენციით. ასევე, მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მთავრობის აპარატში კვლავ დასაქმებული იყვნენ შტატგარეშე მომუშავეები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა მიუხედავად, რიგ შემთხვევაში ირიცხებოდნენ მთავრობის აპარატში ფაქტობრივად მთელი წლის განმავლობაში და რომლებზეც ანაზღაურებული თანხები

ხასიათდებოდა ზრდის ტენდენციით. მიუხედავად სას-ის მიერ დაფიქსირებული ნაკლოვანებებისა, მდგომარეობის გამოსწორების კუთხით მიმდინარე წელს, ისევე როგორც წინა წლებში, მთავრობის აპარატის მიერ რაიმე არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა (გვ. 22).

რეკომენდაციები

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 18 სექტემბრის N39 დადგენილების მიზნების განხორციელების უზრუნველსაყოფად, პრემიების გაცემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას უნდა იღებდეს უფლებამოსილი პირი. ამასთან, სრულად უნდა იქნეს გათვალისწინებული აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული პრემიის გაცემის წესის მოთხოვნები;

ხელფასის დარიცხვის საფუძვლად გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმა. მთავრობის აპარატის შინაგანაწესის შესაბამისად შემუშავდეს და ოფიციალურად დამტკიცდეს „მოსამსახურეთა აღრიცხვის ჟურნალი“ ან/და გამოყენებულ იქნას სპეციალური ტექნიკური საშუალება (გვ. 16);

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში შტატგარეშე მოსამსახურეების დასაქმება უნდა განხორციელდეს საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის და მთავრობის აპარატის შინაგანაწესის მოთხოვნათა სრული დაცვით, მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში და შესრულებული კონკრეტული სამუშაოს (გაწეული მომსახურების) იდენტიფიცირებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად ხარჯვას (გვ. 17);

3. უნდა განხორციელდეს მივლინებებთან დაკავშირებით წარმოდგენილი ყველა ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტის სრულყოფილი შესწავლა, შეძენილი საქონლის იდენტიფიცირება და ამის შემდგომ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად საქვეანგარიშოდ გაცემული თანხების წარმომადგენლობით ხარჯად აღიარება (ჩამოწერა). შესაბამისად, უნდა გატარდეს ქმედითი ღონისძიებები, რათა 2015 წელს წარმომადგენლობით ხარჯად არასწორად აღიარებული თანხები - 2,610.90 ლარი სრულად აღდგეს ბიუჯეტის ანგარიშზე (გვ. 18);

4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების განხორციელების უზრუნველსაყოფად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქართველოს მთავრობის განკარგულებით დადგენილი შეზღუდვები (გვ. 19);

5. სარეზერვო ფონდიდან სახსრების გამოყოფა განხორციელდეს რესპუბლიკური ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად. ასევე, უნდა შემუშავდეს სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფასთან (განკარგვასთან) დაკავშირებით ცალკე გაწერილი წესი, შესაბამისი კრიტერიუმების მითითებით. აღნიშნული გარემოება გახდება უფრო მეტი გამჭვირვალობის, თანხების მიზნობრივად ხარჯვისა და სრულყოფილი კონტროლის (ანგარიშგების) საფუძველი (გვ. 22);

6. სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინება უნდა მოხდეს სრულად და დროულად, რაც არსებითად შეუწყობს ხელს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად მართვას (გვ. 24).

აუდიტის მიზანი

2015 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის (მთავრობის აპარატის) სახსრებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდის (სარეზერვო ფონდის) ხარჯვის მიზნობრიობის შესაბამისობის აუდიტის მიზანია:
ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, თუ რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანთან დაკავშირებული ინფორმაცია სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.
ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის, აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნების და სადაც შესაფერისია - რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა მთავრობის აპარატის და სარეზერვო ფონდის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით 2015 წელს სახსრების ხარჯვის მიზნობრიობა:

- 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება;
- 2015 წელს საქმიანობის განსახორციელებლად მიღებული დაფინანსება, მიმდინარე და კაპიტალიზირებული ხარჯები;
- ნორმატიული აქტებით მთავრობის აპარატზე და სარეზერვო ფონდის ხარჯვაზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების მდგომარეობა;

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა: დაფინანსება (ასიგნებები); ძირითადი აქტივები; დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები; შრომის ანაზღაურების, მივლინების, სატრანსპორტო და წარმომადგენლობითი ხარჯები; განხორციელებული შესყიდვები; სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები;

კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი”;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“;
- საქართველოს პერზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულება „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის №422 განკარგულება „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის №449 დადგენილება „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N 172 დადგენილება „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“;

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 21 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანება „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული “ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №9-ის ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „აფხაზეთის ავტორნომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „ნორმატიული აქტების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 13 მარტის დადგენილება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 18 სექტემბრის №39 დადგენილება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 27 დეკემბრის N 33 დადგენილება - „სამსახურეობრივი ავტომანქანების გამოყენების წესის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 25 სექტემბრის N 28 დადგენილება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 23 იანვრის N1 დადგენილება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 22 თებერვლის N11 დადგენილება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის შექმნის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2014 წლის 19 მაისის N240 ბრძანება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2014 წლის 26 აგვისტოს N450 ბრძანება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2014 წლის 17 თებერვლის N69 ბრძანება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში რისკების მინუმუმამდე შემცირების მიზნით ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2012 წლის 02 მაისის N311 ბრძანება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის უფროსისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატისადმი გამოსაცემი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - ბრძანების გამოცემის კომპეტენციის განსაზღვრის შესახებ“;

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მთავრობის აპარატი პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

მთავრობის აპარატის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომ გამოირიცხოს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეული არსებითი კანონშეუსაბამობები.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის (სას) პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება მთავრობის აპარატის და სარეზერვო ფონდის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით 2015 წლის სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის შესახებ. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4100) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მთავრობის აპარატის და სარეზერვო ფონდის მიერ 2015 წელს საბიუჯეტო თანხების ხარჯვის მიზნობრიობა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი:

მთავრობის აპარატი შექმნილია აფხაზეთის მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის, ანალიტიკური, ინფორმაციული და სხვა მასალების მომზადების, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის ხელშეწყობის მიზნით.

- აპარატის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

ა) აფხაზეთის მთავრობის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების პირობების შექმნა;
ბ) აფხაზეთის მთავრობის აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სხვა დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაციისა და კონტროლის ორგანიზება;
გ) აფხაზეთის მთავრობის მიზნობრივი პროგრამების განხორციელება;
დ) აფხაზეთის კონსტიტუციის შესაბამისად აფხაზეთის მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელება;
ე) აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელთა სამართლებრივი აქტების გაუქმების შესახებ დასკვნების მომზადება;
ვ) აფხაზეთის მთავრობისა და მთავრობის თავმჯდომარის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
ზ) აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის საქმიანობის ინფორმაციულ-ანალიტიკური უზრუნველყოფა;
თ) აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის ურთიერთობა სახელმწიფო ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;
ი) აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის საქმიანობასთან დაკავშირებული საპროტოკოლო ღონისძიებათა კოორდინაცია;
კ) აფხაზეთის მთავრობის სხდომების (განსახილველი საკითხებისა და დღის წესრიგის პროექტების მომზადება) ორგანიზება;
ლ) ცალკეულ საკითხთა შესწავლის მიზნით შექმნილი სათათბირო ორგანოების - კომისიებისა და საბჭოების საქმიანობისადმი ხელშეწყობა;
მ) სამთავრობო პროგრამების შემუშავებასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაცია და ამ პროგრამების შესრულების კონტროლი;
ნ) აფხაზეთის მთავრობისა და აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის სახელზე შემოსული ადმინისტრაციული საჩივრების განხილვის სფეროში აფხაზეთის მთავრობისა და აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილებების განხორციელების უზრუნველყოფა;
ო) სასამართლოსა და სხვა ორგანოებში აფხაზეთის მთავრობისა და აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის წარმომადგენლობა;
პ) აფხაზეთის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტა;
ჟ) ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი პოლიტიკის საკითხებზე წინადადებების შემუშავება.
რ) დოკუმენტების მიღების, დამუშავებისა და მომზადების ერთიანი წესისა და მასთან დაკავშირებულ დავალებათა შესრულება;
ს) აფხაზეთის მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი;

ტ) კანონმდებლობის შესაბამისად, ცალკეული ორგანიზაციებიდან და დაწესებულებებიდან ინფორმაციის, საჭირო დოკუმენტაციის გამოთხოვა;
უ) აფხაზეთის მთავრობისა და აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის გამგებლობის სფეროს კანონმდებლობით მიკუთვნებულ სხვა საკითხთა გადაწყვეტის ხელშეწყობა;
ფ) აფხაზეთის მთავრობის აპარატის წლიური ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის საკითხების შესახებ წინადადებების წარდგენა.

- აპარატი, დაკისრებულ ამოცანათა შესრულებისას, სამსახურებრივად ანგარიშვალდებულია აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის წინაშე;
- ფინანსდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან;
- ფინანსურ ანგარიშგებას წარუდგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდი:

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად იქმნება სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს.

- სარეზერვო ფონდიდან თანხებს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს შესაბამისი საფინანსო ორგანო;
- სარეზერვო ფონდის ათვისებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და შესაბამისი დასკვნისა და სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება წარმოადგენდა მთავრობის აპარატის სტრუქტურული ერთეულის - ,,აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან ურთიერთობისა და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტის“ ფუნქციას. შესაბამისად, ,,სარეზერვო ფონდიდან“ თანხების გამოყოფის (ხარჯვის) კანონიერების, მიზნობრიობის კუთხით 2015 წელს გაწეული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობას ძირითადად უზრუნველყოფდა ზემოაღნიშნული დეპარტამენტი. გარდა ამისა, დეპარტამენტის ფუნქციებში შედიოდა მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრების, წინადადებების განხილვა და მათზე რეაგირება მოქმედი კანონდებლობის ფარგლებში.

შრომის ანაზღაურება

გამოვლენილი გარემოებები:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის (მთავრობის თავმჯდომარის) და მთავრობის აპარატის უფროსის (აპარატის უფროსის) ბრძანებების

(სულ 59 ბრძანება) საფუძველზე 2015 წელს პრემიების სახით გაცემულმა თანხამ შეადგინა 120,173.50 ლარი. აპარატის უფროსის მიერ პრემიებთან დაკავშირებით ბრძანებების გამოცემის საფუძვლად წარმოდგენილი იყო მთავრობის თავმჯდომარის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი[1] - ბრძანება[2], ასევე გამოცემული ბრძანებების საფუძვლებში, მითითებული იყო ნორმატიული აქტი[3] - მთავრობის დადგენილება[4], რომლის მიხედვით პრემიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საჯარო დაწესებულების ზემდგომი თანამდებობის პირი (მთავრობის თავმჯდომარე).[5] მოქმედი კანონმდებლობის[6] მოთხოვნებიდან გამომდინარე ნორმატიული აქტი არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს, ხოლო ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ერთჯერადია და უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ აქტს, ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი მიიღება (გამოიცემა) მხოლოდ ნორმატიული აქტის საფუძველზე და მის მიერ დადგენილ ფარგლებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების[7] გამოცემის შემდეგ, აპარატის უფროსს (ხელმძღვანელ თანამდებობის პირს)[8] არ ჰქონდა უფლებამოსილება მთავრობის აპარატში თანამშრომელთა პრემირებასთან დაკავშირებით 2015 წლის განმავლობაში გამოეცა ჯამში 49 ბრძანება (თანხით - 111,568.50 ლარი).[9]

დასაქმებული პირის შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის არარსებობის გამო პრემიების გაცემა ხდებოდა დასაბუთების საფუძველზე. თუმცა, პრემიების გაცემის შესახებ

---

[1] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტი;

[2] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2012 წლის 02 მაისის N311 ბრძანება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის უფროსისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატისადმი გამოსაცემი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - ბრძანების გამოცემის კომპეტენციის განსაზღვრის შესახებ“;

[3] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი;

[4] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 18 სექტემბრის №39 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;

[5] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 18 სექტემბრის N39 დადგენილების - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის ,,გ“ პუნქტი და მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი;

[6] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები;

[7] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 18 სექტემბრის №39 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;

[8] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 18 სექტემბრის N39 დადგენილების - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის ,,დ“ პუნქტი;

[9] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 18 სექტემბრის N39 დადგენილების - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი;

გამოცემული ბრძანებების დასაბუთებებში გამოიყენებოდა ერთი და იგივე შაბლონური ტექსტები („დაკისრებული მოვალეობების კეთილსინდისიერი შესრულებისთვის, კვალიფიციური და ეფექტური საქმიანობისათვის“, „სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშოდ შესრულებისთვის“, ან „დაკისრებული მოვალეობების კეთილსინდისიერი შესრულებისთვის“), ხოლო კონკრეტულად თუ რა სამუშაოს შესრულებისთვის იყო გაცემული პრემია ასახული არ ყოფილა.

გამოცემული ბრძანების დასაბუთებებში მხოლოდ ერთ შემთხვევაში იყო მითითებული ინფორმაცია მიმდინარე წლის განმავლობაში აღნიშნულ პირზე გაცემული პრემიების შესახებ.[10]

დადგენილი წესის[11] თანახმად უქმე დღეებთან დაკავშირებით პრემია შეიძლება გაიცეს წელიწადში არაუმეტეს სამჯერ, თუმცა უქმე დღეებთან დაკავშირებით 3 თანამშრომელზე წლის განმავლობაში გაიცა მე-4 პრემიაც (ჯამში 2,054.00 ლარი). გარდა აღნიშნულისა, 6 შემთხვევაში სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებზე პრემიები გაცემული იყო ინიცირების გარეშე.[12]

მთავრობის აპარატში თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების და სამსახურიდან გასვლის აღრიცხვის მიზნებისათვის არ არსებობდა სპეციალური ტექნიკური საშუალება. ასევე, აპარატის მიერ არ იყო დადგენილი სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვის ფორმა,[13] თუმცა იურიდიული სამსახურის მიერ წარმოებდა „მომსახურეთა აღრიცხვის ჟურნალი“, რომელიც შედგებოდა მხოლოდ შემდეგი მონაცემებისაგან: „სახელი, გვარი, თარიღი, შენიშვნა“. გარდა აღნიშნულისა, ხელფასების დარიცხვისას არ გამოიყენებოდა „სამუშაო დროის გამოყენების და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელი“.[14] ამასთან, მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებების საფუძველზე აპარატის

---

[10] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 18 სექტემბრის N39 დადგენილების - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტი;

[11] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 18 სექტემბრის N39 დადგენილების - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი;

[12] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 18 სექტემბრის N39 დადგენილების - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი;

[13] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ 30-ე მუხლის მე-15 პუნქტი; აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2014 წლის 19 მაისის N240 ბრძანებით დამტკიცებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის შინაგანაწესის მე-7 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები;

[14] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბერის N 449 ბრძანების - „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების შესახებ” ფორმა №019;

თანამშრომლებზე წლის განმავლობაში გაცემული დანამატების ოდენობამ ჯამში შეადგინა 7, 314.00 ლარი. ბრძანებების მიხედვით დანამატები გაცემული იყო შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი ეკონომიის ფარგლებში „ზეგანაკვეთური და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით“.[15] ვინაიდან ორგანიზაციის მიერ არ იყო ნაწარმოები „სამუშაო დროის გამოყენების და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელი“, ხოლო „მომსახურეთა აღრიცხვის ჟურნალის“ მონაცემებში არ ფიქსირდებოდა სამსახურში გამოცხადების და წასვლის დრო (საათი), აუდიტის ჯგუფს ვერ წარედგინა მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა თანამშრომელთა მიერ ზეგანაკვეთურად მუშაობის ფაქტები.[16]

1. *რეკომენდაცია*

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 18 სექტემბრის N39 დადგენილების მიზნების განხორციელების უზრუნველსაყოფად, პრემიების გაცემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას უნდა იღებდეს უფლებამოსილი პირი. ამასთან, სრულად უნდა იქნეს გათვალისწინებული აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული პრემიის გაცემის წესის მოთხოვნები;

ხელფასის დარიცხვის საფუძვლად გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმა. მთავრობის აპარატის შინაგანაწესის შესაბამისად შემუშავდეს და ოფიციალურად დამტკიცდეს „მოსამსახურეთა აღრიცხვის ჟურნალი“ ან/და გამოყენებულ იქნას სპეციალური ტექნიკური საშუალება.

შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება

გამოვლენილი გარემოებები:

2015 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მთავრობის აპარატში დასაქმებული იყო შტატგარეშე 11 მომუშავე და მათზე ანაზღაურდა - 60,765.00 ლარი.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად[17], შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში

[15] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანება „ საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ მე-4 თავის „ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია“ კოდი: 21114 „დანამატები“;

[16] საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს "საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე N672 ბრძანების მე-4 თავის კლასიფიკატორის კოდი 21114 "დანამატები";

[17] საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი და 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტი;

არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. მოპოვებული მტკიცებულებებით, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. კერძოდ, მთავრობის აპარატში 7 შტატგარეშე პირი აყვანილი იყო 2015 წელს (10-12 თვე) მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად და მათზე ანაზღაურდა - 55,105.00 ლარი (თვეში საშუალოდ 500-1000 ლარი). ამასთან, შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ანალიზით გაირკვა, რომ 2015 წლის განმავლობაში მომუშავე 6 შტატგარეშე მოსამსახურე მთავრობის აპარატში მუშაობდა 2014 წელსაც (5-12 თვით) და ექვსივე ასრულებდა მათზე თავდაპირველად დაკისრებულ სამუშაოებს (მოვალეობებს).

გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით შტატგარეშე მოსამსახურეებზე ვრცელდებოდა მთავრობის აპარატის შინაგანაწესით გათვალისწინებული ვალდებულებები, თუმცა 2015 წლის „მოსამსახურეთა აღრიცხვის ჟურნალში“ მათი აღრიცხვა არ ხდებოდა.[18]

მთავრობის აპარატის ინფორმაციით, მუდმივი ხასიათის სამუშაოებისათვის შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება განპირობებული იყო მთავრობის აპარატის საქმიანობის რიგი სპეციფიკიდან გამომდინარე. ამასთან, შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით შესასრულებელი სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენის ფორმა განსაზღვრული არ ყოფილა, ხოლო მთავრობის აპარატში არსებულ კორესპოდენციაში, რაიმე ტიპის ოფიციალური დოკუმენტი (მოხსენებითი ბარათი, სამსახურებრივი ბარათი და სხვ.), რომლითაც დადასტურდებოდა შტატგარეშე მოსამსახურეების მიერ შესრულებული კონკრეტული სამუშაოს (მომსახურების) შედეგი და აქედან მიღებული სარგებელი არ ფიქსირდება, შესაბამისად ფაქტობრივად ვერ დასტურდება (ვერ დგინდება) შტატგარეშე მომუშავეთა დასაქირავებლად გახარჯული სახსრების ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული მართვა[19].

2. რეკომენდაცია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში შტატგარეშე მოსამსახურეების დასაქმება უნდა განხორციელდეს საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის და მთავრობის აპარატის შინაგანაწესის მოთხოვნათა სრული დაცვით, მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში და შესრულებული

[18] აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2014 წლის 19 მაისის N240 ბრძანებით დამტკიცებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის შინაგანაწესის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი;
[19] საქართველოს კანონი - „სახელმწიფო შიდა კონტროლის შესახებ“ მუხლი 7, პ.1.

კონკრეტული სამუშაოს (გაწეული მომსახურების) იდენტიფიცირებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად ხარჯვას.

წარმომადგენლობითი ხარჯები

გამოვლენილი გარემოებები:

2015 წლის განმავლობაში ქვეყნის გარეთ განხორციელებულ მივლინებებთან დაკავშირებით ანგარიშვალდებულ პირზე ანაზღაურებულ იქნა წარმომადგენლობითი ხარჯები ჯამში 4,457.52 ლარის ოდენობით. ზოგადად ხარჯების ანაზღაურება (აღიარება) ხდებოდა ანგარიშვალდებული პირის მიერ წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების შინაარსის შესწავლის შემდგომ ქვითარზე/ფაქტურაზე მითითებული თანხების მიხედვით. თუმცა, 18 შემთხვევაში მთავრობის აპარატის (საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშსწორების სამსახურის) მიერ 2,610.90 ლარის ანაზღაურება მოხდა მხოლოდ წარმოდგენილ ქვითრებზე მითითებული თანხების შესაბამისად, ანუ თანხების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმეტების შინაარსის გაცნობის გარეშე. შედეგად, როგორც ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით დადგინდა, ზემოაღნიშნული თანხებიდან (2,610.90 ლარიდან) 10 შემთხვევაში 1,594.23 ლარი გაიხარჯა ისეთი ტიპის საქონლის შესასყიდად, როგორიცაა: მაისურები, პერანგები, კაბა, ქალის ტანსაცმელი, ქურთუკი, წინდები, გაპარსვის შემდგომი კრემი, მამაკაცის შამპუნი და სხვა მსგავსი ნივთები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობით[20] არ ექვემდებარებოდა წარმომადგენლობით ხარჯად აღიარებას, ხოლო 8 შემთხვევაში არასრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტების გამო 1,016.68 ლარის ხარჯები ფაქტობრივად ვერ იდენტიფიცირდა.

3. რეკომენდაცია:

უნდა განხორციელდეს მივლინებებთან დაკავშირებით წარმოდგენილი ყველა ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტის სრულყოფილი შესწავლა, შეძენილი საქონლის იდენტიფიცირება და ამის შემდგომ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად საქვეანგარიშოდ გაცემული თანხების წარმომადგენლობით ხარჯად აღიარება (ჩამოწერა). შესაბამისად, უნდა გატარდეს ქმედითი ღონისძიებები, რათა 2015 წელს წარმომადგენლობით ხარჯად არასწორად აღიარებული თანხები - 2,610.90 ლარი სრულად აღდგეს ბიუჯეტის ანგარიშზე.

[20] სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე - 3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ქ" ქვეპუნქტი; საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 33-ე პუნქტი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებ „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე" მე-4 თავის „ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია" კოდი: 224 „წარმომადგენლობითი ხარჯები";

საბიუჯეტო დეფიციტის მართვა

გამოვლენილი გარემოებები:

საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების (შემდეგში პრინციპები)[21] შესაბამისად „შრომის ანაზღაურების“ მუხლით 2015 წელს გაწეული ხარჯი თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის არ უნდა ყოფილიყო 2014 წლის საკასო ხარჯზე მეტი. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც ადგილი არ ჰქონია ორგანიზაციის ფუნქციებისა და კომპეტენციის არსებით ზრდას, მთავრობის აპარატის მიერ 2015 წელს შრომის ანაზღაურება გაიზარდა 11 %-ით.კერძოდ:

N	ხარჯები	2014წლის საკასო ხარჯი	2015წლის საკასო ხარჯი	სხვაობა (3-2)	%
	1	2	3	4	5
1	**შრომის ანაზღაურება**	**806,625.75**	**894,538.99**	**87,913.24**	**11%**
2	თანამდებობრივი სარგო	672,193.25	756,306.49	84,113.24	13%
3	წოდებრივი სარგო	13,020.00	10,745.00	-2,275.00	-17%
4	პრემია	116,652.5	120,173.5	3,521.00	3%
5	დანამატი	4,760.00	7,314.00	2,554.00	54%

4. რეკომენდაცია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების განხორციელების უზრუნველსაყოფად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქართველოს მთავრობის განკარგულებით დადგენილი შეზღუდვები.

[21] საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულება - „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ მე-2 პუნქტი, დანართის პირველი პუნქტი;

სარეზერვო ფონდიდან თანხების გაცემა

გამოვლენილი გარემოებები:

სარეზერვო ფონდიდან სხვადასხვა სახის მკურნალობისათვის, სოციალური პრობლემების და სხვა გარემოებების (სწავლების დაფინანსება, სოციალური მდგომარეობა, ღონისძიებების ჩასატარებლად და სხვა.) გამო, მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით გამოყოფილი თანხები შეადგენდა:

ლარი

კატეგორია	განცხადებების რ-ბა	გაცემული თანხა
ღონისძიებისათვის	24	42,093.00
სოციალური	399	87,900.00
მკურნალობისათვის	316	74,180.00
სხვა სახის	15	10,400.00
სულ	**754**	**214,573.00**

მიუხედავად იმისა, რომ სარეზერვო ფონდი იქმნება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად,[22] 2015 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის 399 ბრძანების საფუძველზე სარეზერვო ფონდიდან მაინც გაიცა 87,900.00 ლარი ისეთი გადასახდელებისათვის (სოციალურ-მატერიალური დახმარებებისათვის), რომლებიც გათვალისწინებული იყო 2015 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობების ასიგნებებში.[23] მათ შორის მთავრობის აპარატიდან აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობებისათვის განსახილველად და შემდგომი რეაგირებისათვის განცხადებები (ინფორმაცია) გადაგზავნილია 25 შემთხვევაში, ხოლო 374 შემთხვევაში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობებისათვის არანაირი ინფორმაცია არ გადაგზავნილა. შემოსული კორესპონდენციის შესწავლით 2015 წელს მატერიალური დახმარების გაწევის მოთხოვნით შემოსული 1298 დოკუმენტიდან სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა 754 შემთხვევა, ხოლო 544 შემთხვევაში დოკუმენტები გადაიგზავნა განსახილველად აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობებში და სხვადასხვა დაწესებულებებში (სამინისტროებში, დეპარტამენტებში და სხვ.)

[22] საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 90-ე მუხლი; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ 2015 წლის კანონის მე-14 მუხლი;

[23] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ 2015 წლის კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტი;

სარეზერვო ფონდიდან 26 ფიზიკურ პირზე წლის განმავლობაში რამდენჯერმე (2-ჯერ, 3-ჯერ) სხვადასხვა მიზეზების გამო (სოციალური მდგომარეობა, მკურნალობისთვის და სხვა სახის) იყო გაცემული ჯამში 15,550.00 ლარი. თუმცა, მთელ რიგ შემთხვევებში ანალოგიური პრობლემებით და მსგავსი მდგომარეობით შემოსული განცხადებების დაკმაყოფილება არ მომხდარა და ისინი გადაიგზავნა რეაგირებისთვის აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობებსა და სხვა დაწესებულებებში. მიღებული ინფორმაციით, დადგენილი კანონმდებლობიდან გამომდინარე[24], სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფა ხდებოდა მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით და მთავრობის თავმჯდომარის ბრძანების[25] შესაბამისად, რომელიც იყო ზოგადი ხასიათის და არეგულირებდა სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფასა და განკარგვასთან დაკავშირებით მთავრობის აპარატში რისკების მინიმუმამდე შემცირების მიზნით ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შიდა რეგულაციებს. აუდიტის ჯგუფისთვის წარმოდგენილი არ ყოფილა სხვა დოკუმენტი, სადაც ასახული იქნებოდა კონკრეტული კრიტერიუმები იმის შესახებ, თუ რა პრინციპებით და რამდენად სამართლიანად ხდებოდა დასაფინანსებელი პირების შერჩევა, რასაც საბოლოო ჯამში ხელი უნდა შეეწყო სახსრების ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული მართვისათვის[26].

აუდიტის პერიოდში ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ღონისძიებებისათვის შესაბამისი ბრძანებებით სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფას. 2015 წელს, როგორც წინა წლებში დაფინანსდა ერთი და იგივე (მსგავსი) ღონისძიებები. ასე მაგალითად, მთავრობის თავმჯდომარის ბრძანების[27] შესაბამისად 2015 წელს აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების ესპანეთში გამგზავრებასთან დაკავშირებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტს გამოეყო 9,970.00 ლარი. ამავე დეპარტამენტს იგივე ღონისძიებასთან დაკავშირებით 2014 წელს ჩაერიცხა 8,490.00, ხოლო 2013 წელს - 7,500.00 ლარი. სარეზერვო ფონდიდან თანხების ათვისებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და შესაბამისი დასკვნისა და სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება წარმოადგენდა აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან ურთიერთობისა და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტის (დეპარტამენტი) ფუნქციას.[28] გარდა ამისა,

[24] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ 2015 წლის კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი;

[25] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2014 წლის 17 თებერვლის №69 ბრძანება ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში რისკების მინიმუმამდე შემცირების მიზნით ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დამტკიცების შესახებ“;

[26] ,,სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1 პუნქტი;

[27] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2015 წლის 07 მაისის N250 ბრძანება ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“;

[28] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 22 თებერვლის N11 დადგენილების - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის შექმნის შესახებ“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის პ) ქვეპუნქტი;

დეპარტამენტის ერთ-ერთ ფუნქციას ასევე წარმოადგენდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის მომზადებასა და განხილვაში მონაწილეობის მიღება და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის საკითხებზე წინადადებების შემუშავება.[29] აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების ესპანეთში გამგზავრებასთან დაკავშირებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტისათვის თანხების ყოველწლიურად გამოყოფის მიუხედავად, დეპარტამენტს ბიუჯეტის შესახებ კანონში აღნიშნული სახის ღონისძიების კონკრეტული პროგრამის ან აღმასრულებელი დაწესებულების შესაბამის ბიუჯეტში თანხის გათვალისწინების მიზნით, ყოველწლიური რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განხილვისას შესაბამისი წინადადება არ წარმოუდგენია.

5. რეკომენდაცია

სარეზერვო ფონდიდან სახსრების გამოყოფა განხორციელდეს რესპუბლიკური ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად. ასევე, უნდა შემუშავდეს სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფასთან (განკარგვასთან) დაკავშირებით ცალკე გაწერილი წესი, რისი პრეცენდენტიც არის საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში[30]. სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფასთან (განკარგვასთან) დაკავშირებით ცალკე გაწერილი წესის შემუშავება, რომელშიც მითითებული იქნება კონკრეტული კრიტერიუმები, გახდება უფრო მეტი გამჭვირვალობის, თანხების მიზნობრივად ხარჯვისა და სრულყოფილი კონტროლის (ანგარიშგების) საფუძველი.

წინა წლებში ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა

გამოვლენილი გარემოებები:

მიმდინარე აუდიტით კვლავ დაფიქსირდა ისეთი ნაკლოვანებები[31], რომელთაც ადგილი ჰქონდა წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტებისას.[32] კერძოდ:

---

[29] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 22 თებერვლის N11 დადგენილების - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის შექმნის შესახებ“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე“ და ,,კ“ ქვეპუნქტები;

[30] საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 9 ოქტომბრის №412 ბრძანებულება ,,საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის განკარგვის პროცესში საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“

[31] ,,სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1 პუნქტი; საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 90-ე მუხლი; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ 2015 წლის კანონის მე-14 მუხლი; საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი და 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტი;

[32] სას-ის 2016 წლის 20 იანვრის აფხაზეთის ა/რ მთავრობის სარეზერვო ფონდის შესაბამისობის აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N1/36; სას-ის 2014 წლის 08 სექტემბრის აფხაზეთის ა/რ მთავრობის აპარატის ფინანსური აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N14/129; სას-ის 2015 წლის 18 თებერვლის აფხაზეთის ა/რ მთავრობის აპარატის ფინანსური აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N4/129.

ა) სარეზერვო ფონდიდან თანხების ხარჯვა:

მიმდინარე წელს, ისევე როგორც წინა წლებში, სარეზერვო ფონდიდან თანხების გაცემა ხდებოდა ისეთი გადასახდელებისათვის (სოციალურ-მატერიალური დახმარებებისათვის), რომლებიც გათვალისწინებული იყო აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობების წლიურ ბიუჯეტებში. ამ მხრივ, სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად, მდგომარეობა არ გამოსწორებულა, პირიქით 2013-2015 წლების განმავლობაში თანხების ხარჯვა გამოირჩეოდა ზრდის ტენდენციით:

წელი	**სოციალური პრობლემების გამო გაცემული მატერიალური დახმარებები**	
	თანხის მიმღები პირების რაოდენობა	**გამოყოფილი (გაცემული) თანხა ლარებში**
2013	74	21,850.00
2014	168	38,150.00
2015	399	87,900.00
ჯამი	**641**	**147,900.00**

2013-2015 წლებში სოციალური პრობლემების გამო გაცემული მატერიალური დახმარებების ზრდის დინამიკა კიდევ უფრო ნათლად აისახა გრაფიკულად:





გ) შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება:

მიმდინარე წელს, ისევე როგორც წინა წლებში, მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მთავრობის აპარატში კვლავ დასაქმებული იყვნენ შტატგარეშე მომუშავეები,

რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა მიუხედავად რიგ შემთხვევაში ირიცხებოდნენ მთავრობის აპარატში ფაქტობრივად მთელი წლის განმავლობაში და რომლებზეც ანაზღაურებული თანხები ხასიათდებოდა ზრდის ტენდენციით.

წელი	**შტატგარეშე მომუშავეთა დინამიკა**			
	გარკვეული პერიოდით დასაქმებული		**მუდმივად მომუშავე**	
	რაოდენობა	**თანხა (ათ. ლარებში)**	**რაოდენობა**	**თანხა (ათ. ლარებში)**
2013	10	34,6	1	5,7
2014	15	60,8	3	21,9
2015	11	60,8	7	55,1
ჯამი	**36**	**156,2**	**11**	**82,7**

მიუხედავად სას-ის მიერ დაფიქსირებული ნაკლოვანებებისა, მდგომარეობის გამოსწორების კუთხით მიმდინარე წელს, ისევე როგორც წინა წლებში, მთავრობის აპარატის მიერ რაიმე არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა.

6. *რეკომენდაცია*

სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინება უნდა მოხდეს სრულად და დროულად, რაც არსებითად შეუწყობს ხელს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად მართვას.

აუდიტორთა ხელმოწერები:

უფროსი აუდიტორი — ბონდო გასვიანი

აუდიტორ - ასისტენტი — მიხეილ გოდოლაძე

20 დეკემბერი 2016 წელი